ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

განკარგულება:**გ-61. 61231446**

თარიღი:**24/05/2023**

განკარგულება # 118

ხონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის და ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №21 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო რეგლამენტის“ 146 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. ხონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში შეფასდეს დადებითად.

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი სამტრედია, ძმები ნინუების ქ.№1) განკარგულების ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვალერ ბახტაძე

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ: საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (ე.წ. სტამბულის კონვენცია), გაეროს კონვენციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველანაირი ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW,1979) და მისი ფაკულტატიური ოქმის (1999), ასევე CEDAW-ის კომიტეტის №19 საერთო რეკომენდაციის ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ“ შესაბამისად.

2017 წლის 21 სექტემბერს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით (№20) დადგენილებით შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 7 მარტის №ბ61.61220661 ბრძანების შესაბამისად, 2022 წლის 7 მარტიდან ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელობს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა კუბლაშვილი, ხოლო მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: 1. კობა კუბლაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;2. ვალერი ბახტაძე- საკრებულოს თავმჯდომარე; 3. გელა ჩოგოვაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; 4. გერასიმე მჟავანაძე - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; 5. მანანა გოფოძე- მ უნიციპალიტეტის მერის მოადგილე; 6. ზაზა ვაშაკიძე- საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; 7. დემური სულაბერიძე- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე; 8. გურამი ბახტაძე - ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე; 9. ზურაბი მიქაძე - ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე; 10. ზაზა რუხაძე - ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე; 11. ბაჩანა ბასილაია - ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარის მოადგილე;12. ელისო ლიპარტელიანი - ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;13. თამარ გენძეხაძე - ხონის მუნიციპალიტეტის აი(ი)პ სათნოების სახლის დირექტორი; 14. მანანა აკობიძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; 15. ეთერი უგულავა - სოციალური მომსახურების სააგენტოს ხონის რაიონული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.; 16. თეკლე ონიანი - ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამინური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი; 17. თამარ უგულავა - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- წევრი; 18. ელისო ჯიქია - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- წევრი; 19.ემა კამკია - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“-ს თანამშრომელი-წევრი; 20.მარიეტა ლეთოდიანი - მწვანე რეგიონების პროექტების კოორდინატორი-წევრი; 21. სოფიკო საღარეიშვილი - ა(ა)იპ ინფორმატიკის ცენტრის დირექტორი-წევრი;22. ლევანი ჩიხლაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი-წევრი; 23. აკაკი ქვათელაძე - ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი-წევრი;

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი;

წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2022 განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა;

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიზნებია:

- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების შექმნა;
- ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, მუნიციპალური პროგრამების და პროექტების დაგეგმვა და განხორციელება ქალების და კაცების, ბიჭების და გოგონების საჭიროებების გათვალისწინებით;
- გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება;

საანგარიშო პერიოდში შედგა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, ტრენინგი ჩვენს მთავარ პარტნიორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძოდ:

- სამუშაო შეხვედრა - საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, UNDP - კობა კუბლაშვილი, ელისო ჯიქია, მანანა გოფოძე,30 აპრილი- 1 მაისი,საირმე;

- ეროვნული ფორუმი-ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია - მანანა გოფოძე, ელისო ჯიქია , 10 მაისი,ელექტრონული პლათფორმა ზუმი;

- ტრენინგი თემაზე „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორისი თანამშრომლობის და კოორდინაციის მნიშვნელობა ადგილობრივ დონეზე“ - ქალთა ფონდი „სოხუმი“ , საერთაშორისო ორგანიზაცია „პური მსოფლიოსათვის“(Brot für die Welt) მხარდაჭერით-გერასიმე მჟავანაძე, 7-8 მაისი, დაბა ბორჯომი;

- საინფორმაციო შეხვედრა ,,გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის პროექტი რეგიონებში,, - ქალთა ფონდი,, , ელისო ჯიქია , ზუმ შეხვედრა 27 ივნისი,ელექტრონული პლათფორმა ზუმი;

- პრეზენტაცია - პოლიტიკის დოკუმენტის “ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ბარიერები და მათი გადაჭრის გზები''- საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP)- ელისო ჯიქია, კახა ქვათელაძე, მანანა გოფოძე, ბაჩანა ბასილაია, ემა კამკია-24 თებერვალი, ელექტრონული პლათფორმა ზუმი;

- ტრენინგი- ,,მუნიციპალიტეტის როლი ინკლუზიური და თანსწორი პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში,, -ქალთა ფონდი- ელისო ჯიქია, აკაკი ქვათელაძე-11 ივლისი, ელექტრონული პლათფორმა ზუმი;

- კვლევა - ,, კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისათვის,, - სახალხო დამცველის აპარატი - გენდერული საბჭოს წევრები,10 აგვისტო, ქ. ხონი;

- ღონისძიება ,, ქალები მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის,, - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი ,, სოხუმი ,,- მანანა გოფოძე, ელისო ჯიქია, 5 სექტემბერი, ქ. ქუთაისი;

- სამუშაო შეკრება-ასოციაცია ,,ვაკეთოთ ერთად,, - პროექტი ,, წყალტუბო , ხონი, სამტრედია,ზუგდიდი: თანამშრომლობა ქალთა უფლებების დაცვისთვის,, - მანანა გოფოძე, 9-10-11 სექტემბერი, ქ. ქობულეთი;

- ტრენინგი- ფინანსთა სამინისტროს აკადემია -,,GRB - გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება, როგორც კარგი ბიუჯეტირების პოლიტიკა,,- ლევან ჩიხლაძე, თამარ ჩხენკელი, სოფიკო ჭავჭანიძე, ოთარ ვეკუა, 23-24-25 სექტემბერი, ქ. ქუთაისი;

- ტრენინგი-ქალთა საინფორმაციო ცენტრი, თემა: „ქალები და ახალგაზრდები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ადგილობრივ დონეზე განხორციელებისთვის“, 28 სექტემბერი, აკაკი ქვათელაძე, კობა კუბლაშვილი, ელექტრონული პლათფორმა ზუმი;

- ონლაინ საჯარო დისკუსია -ფონდი ,,სოხუმი,,- თემა: „ფემიციდი, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი გამოვლინება - მიზეზები და პრევენციის გზები“- ელისო ჯიქია, მანანა გოფოძე, 24 ოქტომბერი, ელექტრონული პლათფორმა ზუმი;

- ტრენინგი- ფონდი ,,სოხუმი,, -,,რეზოლუცია 1325,, ,თეკლე ონიანი, 11-12 ნოემბერი;

- ტრენინგი-,,პროფესიული კავშირების გაერთიანება,, , ,,რეგიონული ინიციატივების ცენტრი-ნათელი მომავალი,,-,,თანასწორი, ძალადობისა და შევიწროებისაგან თავისუფალი გარემო ღირსეული შრომის უზრუნველსაყოფად,, ,ზურაბ მიქაძე, ზაზა რუხაძე,-25-27 ნოემბერი;

- საინფორმაციო შეხვედრა-შინაგან საქმეთა სამინისტრო-,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია,,,გენდერული საბჭო, 28 ნოემბერი;

- კვლევა-სახალხო დამცველის აპარატი- ,,ქალთა მობილობა,,-გენდერული საბჭო-8 დეკემბერი;

სამუშაო შეხვედრები ტრენინგებისა და მიღებული გამოცდილების საფუძველზე საბჭომ პირველად შეიმუშავა საკუთარი პროგრამული ბიუჯეტი , რომელიც მოიცავს 2022 -2024 წლებს. დოკუმენტი ეყრდნობა სამოქმედო გეგმას და სრულად მოიცავს იმ პარამეტრებს , რაც უზრუნველყოფს დასახული მიზნების განხორციელებას;

საანგარიშო პერიოდში, საბჭოს ინიცირებით, წარმატებით განხორციელდა პროექტი ,, ასხის მთაზე მცხოვრებ ფერმერთა საჭიროებების კვლევა,,. შიქმნა ორენოვანი კვლევის დოკუმენტი, აღსანიშნავია , რომ ადგილობრივი ძალებით პირველად შეიქმნა კვლევის სრულფასოვანი დოკუმენტი , სადაც სამიზნე ჯგუფის საჭიროებები სრულყოფილად არის მოცემული; დოკუმენტი საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის;

საბჭო იკრიბებოდა თვეში ერთხელ და განიხილავდა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს. თითოეული შეხვედრა ასახულია შესაბამის ოქმებში, ხოლო განხილული საკითხები და საბჭოს რეკომენდაციები გადაგზავნილია ადრესატებთან (6 ოქმი,19 საკითხი);

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტში პირველად, საბჭოს ინიცირებით, აღინიშნა გოგონათა საერთაშორისო დღე 11 ოქტომბერი და სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღე - 15 ოქტომბერი; საბჭოს წევრები მცირე პერფორმანსით შეუერთდნენ ძუძუს კიბოს პრევენციის კამპანიას ,, ვარდისფერი ოქტომბერი,, , ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა ძუძუს კიბოს პრევენციასთან დაკავშირებით, , ძალადობის საკითხებზე და ქალთა უფლებებზე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, საბჭოს ინიციატივით მუნიციპალიტეტში აღინიშნა 16 ნოემბერი, ტოლერანტობის საერთაშორისო დღე, საბჭო შეუერთდა ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიან კამპანიას და პერფორმანსითა და საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებით (საინფორმაციო შეხვედრები საჯარო სკოლებსა და განცხადება სოციალურ ქსელსა და ვებ გვ ერზე) იზრუნა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე, სოციალური პლათფორმისთვის მომზადდა ამონარიდები კანონმდებლობიდან ;

საბჭო აგრძელებს მუშაობას სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ სხვა ღონისძიებებზე .